სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/53

ქ. თბილისი

20 ოქტომბერი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2025 წლის 20 ოქტომბრის №0001376720 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 20 ოქტომბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1.1. საფინანსო სამსახურში გაუქმდეს ორი უფროსი სპეციალისტის II-კატეგორიის საშტატო ერთეული და შეიქმნას უფროსი სპეციალისტის I-კატეგორიის ერთი საშტატო ერთეული;

1.2. შესყიდვების დეპარტამენტში გაუქმდეს უფროსი სპეციალისტის II-კატეგორიის 1 საშტატო ერთეული და შეიქმნას უფროსი სპეციალისტის I-კატეგორიის ერთი საშტატო ერთეული;

1.3. ლოგისტიკის უზრუნველყოფის ცენტრში გაუქმდეს უფროსი სპეციალისტის II-კატეგორიის 1-საშტატო ერთეული და შეიქმნას უფროსი სპეციალისტის I-კატეგორიის ერთი საშტატო ერთეული;

2. ცვლილებები განხორციელდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში არსებული ვაკანსიებიდან გამოთავისუფლებული თანხების ხარჯზე;
3. ცვლილებები ამოქმედდეს მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**